ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №5

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში საწყობის გამგის თანამდებობის (შტატგარეშე) დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

27 იანვარი , 2017 ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 26 ივნისის №580 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-10 მუხლის მეორე პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017 წლის 27 იანვარს გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში საწყობის გამგის თანამდებობის დასაკავებლად:
2. კონკურში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტაციაა:
   - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
   - ავტობიოგრაფია (CV ფოტოსურათით).
   - უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
3. საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი პირობაა:
   - კომპიუტერული პროგრამა Excel-ის საფუძვლიანი ცოდნა
   - ანალოგიურ პოზიციაზე ან ანალოგიური პოზიციის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება;
4. გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად განისაზღვროს კონკურსის 2 ეტაპი:
   - განცხადების გადარჩევა
   - გასაუბრება
5. საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 27 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით 12:00 სთ-დან 17:00 საათამდე ცენტრის ადამიანური რესურსების მართვისა და მონიტორინგის კოორდინატორთან მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. № 1/3 ან გამოაგზავნონ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე info@manuscript.ac.ge:

6. გასაუბრების ჩატარების დღედ განისაზღვროს 2017 წლის 10 თებერვალი.
7. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2017 წლის 15 თებერვლისა.
8. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) **ლაშა კალაძე** (ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი) - კომისიის თავმჯდომარე;

   ბ) **ზვიად ნადარეიშვილი** (ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი;

   გ) **ნინო ჩხიკვაძე** (ცენტრის იურისტ კონსულტანტი)-კომისიის წევრი;

   დ)**ხათუნა გორდეზიანი,** (ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილების ადამიანური რესურსების მართვისა და მონიტორინგის კოორდინატორი) - კომისიის წევრი/მდივანი;
9. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება წინამდებარე ბრძანების დანართით (დანართი 1).
10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.:ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი *ზაალ აბაშიძე*

საქართველოს სახელმწიფო ფინანსთა სამინისტროს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
21368474